

დამტკიცებულია:

2018 წლის 16 მაისი



№ 20

დავით ნუკა

შოთა მესხიას ზუგდიდის სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტის აკადემიური საბჭო

შოთა მესხიას ზუგდიდის სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტში კვლევითი პროექტების გამოცხადებისა და დაფინანსების წესი

მუხლი 1. ზოგადი დებულება

წინამდებარე წესი არეგულირებს შოთა მესხიას ზუგდიდის სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტში (შემდგომში „სასწავლო უნივერსიტეტი“) კვლევითი პროექტების (შემდგომში „პროექტი“) გამოცხადებისა და დაფინანსების წესს.

მუხლი 2. კონკურსის გამოცხადების წესი

1. კონკურსს პროექტის მიღების შესახებ აცხადებს სასწავლო უნივერსიტეტის აკადემიური საბჭო ყოველწლიურად და შეესაბამება საჯაროობის, გამჭვირვალობის, თანასწორობისა და სამართლიანი კონკურენციის პრინციპებს.
2. კონკურსის ჩატარების თარიღი და პირობები ქვეყნდება საჯაროდ სასწავლო უნივერსიტეტის ვებ-გვერდზე წინამდებარე წესითა და აკადემიური საბჭოს დადგენილებით განსაზღვრული წესით საბუთების მიღებამდე არანაკლებ ერთი თვით ადრე.
3. საბუთების მიღება გრძელდება არანაკლებ 1 და არაუმეტეს 2 კვირისა.
4. კონკურსი ტარდება საბუთების მიღების დასრულებიდან არაუმეტეს ერთი თვის ვადაში.
5. კონკურსი შედგება ორი ეტაპისაგან: დოკუმენტების განხილვა და გამარჯვებულ პროექტის ავტორთან/ავტორებთან გასაუბრება.
6. გამარჯვებული პროექტის ხელმძღვანელთან ფორმდება ხელშეკრულება შესასრულებელი სამუშაოს გეგმისა და ბიუჯეტის გათვალისწინებით

მუხლი 3. საკონკურსო კომისია

1. პროექტებს განიხილავს სასწავლო უნივერსიტეტის რექტორის ადმინისტრაციული აქტით შექმნილი საკონკურსო კომისია.

2. საკონკურსო კომისია განისაზღვრება შემდეგი შემადგენლობით:

ა) კომისიის თავმჯდომარე ;

ბ) კომისიის მდივანი;

გ) კომისიის წევრები (დარგის სპეციალისტები).

მუხლი 4. კონკურსში მონაწილეობის მისაღებად წარმოსადგენი დოკუმენტები

1. კონკურსანტმა უნდა წარმოადგინოს:

ა) განაცხადი კომისიის სახელზე

ბ) პროექტი თანმხლები დოკუმენტაციით (1. სამუშაო გეგმა და შესასრულებელი სამუშაოსთვის აუცილებელი დამხმარე მასალების ნუსხა სავარაუდო აფსების გათვალისწინებით, 2. პროექტის ხელმძღვანელი : მიმართულების აკადემიური ხარისხის მქონე პირი (დოქტორი) შოთა მესხიას ზუგდიდის სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტში 3. პროექტის ბიუჯეტის ოდენობა განისაზღვრება აკადემიური საბჭოს დადგენილებით, მათ შორის საერთო ბიუჯეტის მხოლოდ 20% -ს შეადგენს ხელფასი .

მუხლი 6. პროექტის შესრულების მონიტორინგი:

პროექტის განმავლობაში ხელმძღვანელს ევალება შუალედური ანგარიშების წარდგენა აკადემიური საბჭოს წინაშე. პროექტის შუალედური ანგარიშის დაწუნების შემთხვევაში სასწავლო უნივერსიტეტი უფლებამოსილია პროექტის ხელმძღვანელს შეუწყვიტოს დაფინანსება.

მუხლი 7. კონკურსში მონაწილეობის უფლების მქონე პირი

1. კონკურსში მონაწილეობის მიღების უფლება აქვს საქართველოს ქმედუნარიან მოქალაქეს:

ა) მიმართულების აკადემიური ხარისხის მქონე პირს (დოქტორი).

ბ) მაგისტრის/ბაკალავრის აკადემიური ხარისხის მქონე პირი (პროექტის ხელმძღვანელის მიერ განსაზღვრული დატვირთვით).

გ) სამეცნიერო საქმიანობით დაკავებული პირი, რომელსაც ბოლო 5 წლის განმავლობაში კვლევითი პროექტის მიზნით განსაზღვრული მიმართულებით აქვს სულ მცირე სამი სამეცნიერო სტატია/ნაშრომი გამოქვეყნებული.

მუხლი 8. კონკურსთან დაკავშირებული დავები

კონკურსთან დაკავშირებული დავები წყდება მხარეთა შორის მოლაპარაკების საფუძველზე. შეთანხმების მიუღწევლობის შემთხვევაში საქართველოში მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად.

მუხლი 9. ცვლილებებისა და დამატებების შეტანა

1. წესში ცვლილებების ან/და დამატებების შეტანა ხორციელდება აკადემიური საბჭოს გადაწყვეტილებით.

